ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

**სხდომის ოქმი N 8**

2022 წლის 16 ნოემბერი, 14:00 საათი

ქ. თბილისი თავისუფლების მოედანი N2

**სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:**

**თინათინ ნიბლოშვილი** - სხდომის (საბჭოს) **თავმჯდომარე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

**გურამ ოქროპირიძე** - საბჭოს **მდივანი,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

**მარიამ ზაქარიაშვილი** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

**ვლადიმერ ბოჟაძე** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

**ანა კაკაბაძე** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

**სალომე კობალაძე** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

**თათია ჩახვაშვილი** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი;

**ნინო ჩიმაკაძე** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

**ელეონორა კაპანაძე** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (აპარატის უფროსის მოადგილე);

**ნინო წულაძე** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

**ელენე დუმბაძე** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი);

**ოთარ გრიგოლია** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო " თავმჯდომარე;

**მაია გეგია** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (აპარატის უფროსის მოადგილე);

**ნინო რუხაძე** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო " თავმჯდომარის მოადგილე;

**ნინო ვაშაკიძე** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სამდივნოს II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი);

**სხდომის დღის წესრიგი:**

1. გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის დაგეგმვა.

სხდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, **თინათინ ნიბლოშვილმა,** მისასალმებელი სიტყვით გახსნა, დამსწრეებს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი გააცნო და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

როგორც საბჭოს თავმჯდომარე **თინათინ ნიბლოშვილმა** აღნიშნა, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანია თბილისის სატელევიზიო ანძის, სიმბოლურად, ნარინჯისფრად განათებით დაიწყება, რამდენადაც ნარინჯისფერი კამპანიის ოფიციალური ფერია. მისივე თქმით, კამპანიის განმავლობაში, სხვადასხვა აქტივობებში ნარინჯისფერ სამაჯურებს გამოიყენებენ.

საბჭოს წევრებმა ასევე იმსჯელეს კამპანიის სლოგანზე, განიხილეს საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრება, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მოწოდების შინაარსით 16 სხვადასხვა პროფესიის ცნობადი ადამიანის ვიდეომიმართვების ჩაწერასა და შემდგომ მათ სოციალურ ქსელში გავრცელებაზე. საბჭოს წევრმა, **მარიამ ზაქარიაშვილმა,** გამოთქვა მოსაზრება, აღნიშნული კამპანიისათვის გამოწვევის ხასიათის მიცემასა და ვიდეომიმართვების სოციალური ქსელის ქალთა ჯგუფებში გაზიარებაზე.

**თინათინ ნიბლოშვილმა** ისაუბრა გასულ წელს, მერიის ინიციატივით განხორციელებულ აქტივობაზე, კერძოდ კი ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოებრივ ტრანსპორტში საინფორმაციო ბუკლეტების დარიგების პრაქტიკაზე და მან სხდომის მონაწილეებს მასობრივი გავრცელებისთვის საინფორმაციო ბროშურების დამზადება შესთავაზა.

საბჭოს წევრმა, **ელეონორა კაპანაძემ,** გამოთქვა მოსაზრება, აღნიშნული კამპანიის მხარდამჭერი ბანერის სოციალურ ქსელში განთავსებაზე, ხოლო საინფორმაციო ბროშურებზე ძალადობის მსხვერპლთა სახელმწიფო სერვისების: კრიზისული ცენტრებისა და თავშესაფრების მომსახურებებისა და საკონსულტაციო ცხელი ხაზის შესახებ ინფორმაციის დატანაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, **თინათინ ნიბლოშვილმა,** გამოთქვა ინიციატივა, თბილისის კრიზისულ ცენტრში (თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება) ვიზიტსა და აღნიშნული დაწესებულების მომსახურების მიმღებ პირებთან შეხვედრაზე, რაზეც საბჭოს წევრებმა მზაობა გამოთქვეს. მისივე თქმით, მნიშვნელოვანი იქნება თეატრებში სპექტაკლების დაწყებამდე ძალადობის მსხვერპლთა სახელმწიფო სერვისებისა და ცხელი ხაზის შესახებ ინფორმაციის გამოცხადება.

სხდომის დასასრულს საბჭოს თავმჯდომარემ, **თინათინ ნიბლოშვილმა,** საბჭოს წევრებს სხდომის მუშაობაში აქტიური ჩართულობისთვის მადლობა გადაუხადა და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი

სხდომის მდივანი: გურამ ოქროპირიძე